ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ქართული ოცნება
ერთად საქართველოს წარმატებისთვის!
41

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 28 (10362) 5 ოქტომბერი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

პაატა იმნაძემ და ლევან ბაიდეშვილმა გურიაში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე იმსჯელეს

ალიონი. გასულ ხუთშაბათს, გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში, დახურულ ფორმატში გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაიამ,** დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ მეცნიერების დარგში, ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა **პაატა იმნაძემ,** დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ალიმენტალური და ნოზიკომური, პარაზიტოლოგიურ დაავადებათა სამსახურის უფროსმა **ლევან ბაიდეშვილმა** გურიაში **„COVID 19“** გავრცელების და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ იმსჯელეს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ გურიის გუბერნატორის მოადგილე ქეთი მოისწრაფიშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი სირაძე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილების უფროსი არჩილ მჟავია და მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მაია ქუტიძე.

დღეის მდგომარეობით გურიაში **„COVID 19“**დაიფიცირების 178 შემთხვევაა დაფიქსირებული, საიდანაც 53 დაბა ლაითურშია. დაინფიცირების ბოლო 12 შემთხვევა სწორედ ლაითურზე მოდის.

ჩვენს მცდელობა, რეგიონში „**COVID 19**“ გავრცელების საფრთხეზე ინტერვიუ ჩაგვეწერა ბატონ პაატა იმნაძესთან უშედეგო აღმოჩნდა. ამ შეხვედრის შესახებ შესაბამისი პრესსამსახური ინფორმაციას არ ფლობდა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოზურგეთის ცენტრის ხელმძღვანელმა **მაია ქუტიძემ** მხოლოდ შეხვედრის ინფორმა-

▶▶▶ გვ-2

საარჩევნო პოლიტიკა

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები საარჩევნო გარემოს შესახებ

შოთა გოგიბერიძე, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:– სამწუხაროა, რომ პლაკატების ომი გრძელდება. არ ვიცი, ამას ვინ აკეთებს. სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების პლაკატებიც ხშირად მინახავს ჩამოხეული. ამაში ხომ თანხებია გადახდილი. გულდასაწყვეტია, ამით ზიანდება საარჩევნო პროცესი. აქტივისტების,კოორდინატორების, აგიტატორებისგან ჩემამდე არ მოსულა ინფორმაცია ზეწოლებისა და ხელის შეშლის შესახებ.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში, სამწუხაროდ, შემადგენლობა ძირითადად ისევ სახელისუფლებოა. თითქოს კანონისმიერად ისეა გადაწყვეტილი, რომ 6 წევრს საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს, მაგრამ ეს ექვსი წევრიც „ქართული ოცნების“ შტაბში თავმოყრილი და გაანალიზებული კადრებია. ეს გააპროტესტა ოპოზიციურმა ძალებმა და ჩვენც ვუერთდებით ამ პრეტენზიას, არ მოგვწონს ეს მოცემულობა. 13 წევრიდან, როცა მინიმუმ 10 არის სახელისუფლებო, ყველაფერს უნდა ელოდოს ადამიანი. ჩვენ აუცილებლად ვეცდებით, დავიცვათ ჩვენი ხმები. გვყავს კომისიაში წევრები, დამკვირვებლები. თუ მცდელობა იქნება გაყალბებისა, უკან არ დავიხევთ. კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა საპროტესტო გზას გამოვიყენებთ, ვიბრძოლებთ, სამოქალაქო დაპირისპირებამდეც რომ მივიდეს საქმე. ჩვენ ვიცით, რომ დიდი მხარდაჭერა გვაქვს. ვიცით, რომ ამ მხარდაჭერის დაფიქსირება არ უნდა არც ხელისუფლებას, არც ნაციონალურ დანაყოფ პარტიებს იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი ძალა, რომელთანაც პრეტენზიით ვერ ისაუბრებს ვერც ერთი და ვერც მეორე.

ასე რომ, რა თქმა უნდა, არის ხელშემშლელი უამრავი პირობა, თუმცა, ჩვენ ვიბრძვით, ჩვენ ვცდილობთ, მივიტანოთ ჩვენი სათქმელი ამომრჩეველთან.

ვასილ ჩიგოგიძე, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო: –წინასაარჩევნო კამპანია, მიმდინარეობს ძალიან მშვიდ, უსაფრთხო ვითარებაში და თავისუფალ საარჩევნო გარემოში. პანდემიის პირობებში საარჩევნო კამპანიის მიმართ შეზღუდვა არ არსებობს, ვიცავთ იმ წესებს, რაც რეგულაციების მიხედვით არსებობს. ინტენსიურად ვხვდები სამივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ვსაუბრობთ ჩვენი ხელისუფლების პირობებში ჩატარებულ მასშტაბურ სამუშაოებზე. ვმსჯელობთ იმ გამოწვევებსა და საჭიროებებზე, რომლებსაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში,ჩვენს გუნდთან ერთად ეტაპობრივად გადავჭრით. მზად ვარ, ვიზრუნო თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისთვის და გურიის მომავალი წარმატებისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პოლიტიკური გუნდი, „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მანუჩარ კვირკველია, პოლიტიკური ბლოკი „ძალა ერთობაშია“: –პირველად ვმონაწილეობ საპარლამენტო არჩევნებში. ბევრი ადამიანი მიცნობს და საარჩევნოდ გურიაში ჩემს მიმართ რაიმე გართულებას არ ველოდები. ზოგადად არჩევნებს ახლავს გარკვეული მანიპულაციები. რაც შეეხება ჩემს არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხს, ეს ჩემი პირადი გადაწყვეტილების მიღებასთან იყო დაკავშირებული და საბოლოოდ პოლიტიკაში გადავწყვიტე მოსვლა...

გიორგი სიორიძე, პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“: – საარჩევნო გარემო არის ისეთი, როგორიც შეეფერება ხელისუფლებას, რომელიც გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ორიენტირებული, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება ყველანაირი ხერხით და მეთოდით, მათ შორის უკანონო, ძალადობრივი მეთოდებით“, იმიტომ,

რომ მათ არ აქვთ არანაირი მიღწევა, რის გამოც

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

პაატა იმნაძემ და ლევან ბაიდეშვილმა გურიაში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე იმსჯელეს

ცია დაგვიდასტურა და გვითხრა, რომ მათ კორონავირუსის გურიაში გავრცელების საფრთხეებზე იმსჯელეს.

მისი თქმით ისინი სიტუაციას ფლობენ ამ ეტაპზე ზომების გამკაცრება არ იგეგმება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილების უფროსმა არჩილ მჟავიამ კი ამ თემაზე სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის განცხადება გაავრცელა: .

„დღეს ვისაც ახლო კონტაქტი გქონდათ ***covid 19*** *ით ინფიცირებულებთან განიხილებით როგორც პოტენციურად ინფიცირებულები. რის გამოც ჩვენი ეპიდემიოლოგების მკაცრი მოთხოვნაა დავიცვათ 12 დღიანი საკარანტინო წესები, რაც გულისხმობს როგორც თვითიზოლაციას, ასევე გამონაკლის შემთხვევაში თვითმონიტორინგს, რაც ასევე გულისხმობს სხეულის ტემპერატურის ყოველდღიურ კონტროლს, ისეთი სიმპტომების შემჩნევისას როგორიცაა მშრალი ხველა, სუნთქვის გაძნელება, ყნოსვის ან გემოვნების დაქვეითება სასწრაფოდ უნდა მიმართოდ თქვენი ოჯახის ექიმს ან დარეკოთ 112 ზე.*

კონტაქტიდან მე-12 დღეს ყველას ჩავიტარდებათ შესაბამისი ტესტირება ადგილობრივი საზ.ჯანდაცვის სამსახურების მიერ. ტესტის პასუხის მიღებისთანავე დაუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რითმს.

დღეს მხოლოდ ამ რეკომენდაციების მკაცრ შესრულებაზეა დამოკიდებული დაავადების მასიური გავრცელების შეკავება.“

რატომ ვერ შედგა ინტერვიუ პაატა იმნაძესთან

გურიაში **COVID** 19-ის გავრცელების არეალი საგრძნობლად იზრდება და სავსებით ლოგიკურია, რომ მკითხველი ამ საკითხს ყველაზე აქტუალურ თემად მიიჩნევს და შესაბამისად, ზედმიწევნით ზუსტ, ამომწურავ ინფორმაციას ითხოვს და არა მხოლოდ შიშველ სტატისტიკას.

ოთხშაბათს, საღამოს რედაქციისთვის ცნობილი გახდა, რომ ხუთშაბათს ოზურგეთს ეწვეოდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე. რასაკვირველია, ასეთ შანსს არც ერთი მედიასაშუალება ხელიდან არ გაუშვებს და დავგეგმეთ კიდეც მასთან ინტერვიუ, მაგრამ „ჩვენ“ რომ ვბჭობდით „ისინი“ თურმე იცინოდნენ.

გურიაში მართლაც ჩამობრძანდნენ ბატონი პაატა და ალიმენტალური და ნოზიკომური, პარაზიტოლოგიურ დაავადებათა სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ლევან ბაიდეშვილი, მაგრამ... მაგრამ გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში გუბერნატორთან მათი შეხვედრა, რომელსაც, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გურიის განყოფილების უფროსი არჩილ მჟავია და მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მაია ქუტიძე ესწრებოდნენ, დახურულ ფორმატში ჩატარდა.

მოკლედ, ჩვენი მცდელობა, გურიაში **COVID 19**-ის გავრცელების საფრთხეებზე ინტერვიუ ჩაგვეწერა ამ საკითხში ყველაზე კომპეტენტურ პიროვნებასთან, უშედეგო აღმოჩნდა. მხარის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ამ თემაზე რატომღაც სრულ ინფორმაციას არ ფლობდა(?!), არჩილ მჟავიასთან კომუნიკაცია ვერ შედგა, მაია ქუტიძემ კი გვითხრა, რომ შეხვედრაზე მხოლოდ კორონავირუსის გურიაში გავრცელების საფრთხეებზე იმსჯელეს.

ძალიან ცუდია თუ დახურულ ფორმატში მხოლოდ ამ საკითხზე იმსჯელეს და სხვა არაფერზე, რადგან ასეთი შეხვედრები იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვინაც საჯაროდ (და არა დახურული ფორმატით) აცხადებს, რომ კორონა ვირუსი მოგონილია და ხელისუფლების საარჩევნო ხრიკია.

ერთიც, ბოდიშის მოხდით: ასეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე საზოგადოებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება მედიის მოვალეობა და ვალდებულებაა, თუ ვერ გვეხმარებით, ხელს მაინც ნუ შეგვიშლით, ბატონებო, ამ მოვალეობისა და ვალდებულების შესრულებაში.

თხინვალის სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, თემურ გიორგაძემ სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები დათვალიერეს.

პარალელურად, მიმდინარეობს სოფელ მერიის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაც.

პროექტს „შპს ჯორჯიან კონსტრაქშენ კომპანი“ ასრულებს, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 4 443 374 ლარით ფინანსდება.

მერის გადაწყვეტილებით, ფანჯრები, რომლებიც მოიხსნა თხინვალის საჯარო სკოლაზე და ვარგისიანია ამავე სოფლის სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას გადაეცემა.

სოფელ ორმეთში ბეტონის გზა მოეწყო

შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ორმეთში 100მ ბეტონის გზა მოეწყო.

მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, თემურ გიორგაძემ მოინახულა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან ფინანსდება.

ნასაკირალის შესასვლელი თაღის სამუშაოები მიმდინარეობს

დაბა ნასაკირალის შესასვლელი თაღისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მიმდინარე პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე ადგილზე გაეცნო.

პროექტს „შპს დეკორაციების და ქანდაკებების სახლი“ ასრულებს.

სილაურში გზები კეთდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურში, შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-დაგრეიდერების სამუშაოები ტარდება. მუნიციპალური ტექნიკა „აჭარის“ უბანსა და სხვა პრობლემურ მონაკვეთებზე მუშაობს. აღნიშნული სამუშაოებისთვის საჭირო ინერტული მასალა, ქვიშა-ღორღი სოფელს საჩუქრად გზის მშენებელმა კომპანია „ივერია 7-მა“ გადასცა.

საარჩევნო პოლიტიკა

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები საარჩევნო გარემოს შესახებ

შეიძლება ხალხმა ხმა მისცეს. შესაბამისად, ჩვენ, სამწუხაროდ, გავხდით მომსწრენი ზუსტად ისეთი საარჩევნო გარემოსი, როგორიც გვქონდა 2012 წელს, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ზუსტად იმავე გზით მიდიოდა. დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი შემთხვევა დაშინების, შანტაჟის, ძალადობის, ქართველი ამომრჩეველი არის მზად, დამოუკიდებლად, რაციონალურად გამოხატოს თავისი ნება და ხელისუფლება გაისტუმროს პოლიტიკურ ოპოზიციაში.

რაც შეეხება გაყალბების მცდელობას, იქიდან გამომდინარე, რომ ეს სცენარი უკვე გვინახავს, ცხადია, გვაქვს სამწუხარო მოლოდინი იმისა, რომ არჩევნების დღესაც ზუსტად ისევე განვითარდება მოვლენები, როგორც ხდებოდა ხოლმე საქართველოში. იქნება მცდელობები, თუმცა ყველანაირი მცდელობა საბოლოო ჯამში იქნება უსუსური იმიტომ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან არსებობს ძალიან სერიოზული მხარდაჭერა. ოპოზიციურმა პარტიებმა მიაღწიეს შეთანხმებას ერთმანეთის ხმების დაცვის თაობაზე და შესაბამისად ნებისმიერი დარღვევა იქნება გაცხადებული. მხოლოდ და მხოლოდ ამ ნაწილში მოხდება კოორდინაცია. ხაზს ვუსვამ, არავითარი სხვა შეთანხმება ოპოზიციურ პარტიებს შორის, ყოველ შემთხვევაში ისეთი შეთანხმება რომელშიც „ლელო“ მიიღებდა მონაწილეობას, არ არსებობს. ერთადერთი შეთანხმება არსებობს საარჩევნო პროცესთა დაკავშირებით, რომ დავიცვათ ერთმანეთის ხმები. დავიცვათ საქართველოს კონსტიტუციით ადამიანებისათვის მონიჭებული საარჩევნო ხმის უფლება., თუ იქნება მათი მხრიდან ზეწოლა, გაყალბების მცდელობა, იმ ბერკეტების მეშვეობით, რომელიც გააჩნია სამოქალაქო საზოგადოებას და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, აღვუდგებით წინ. დარწმუნებული ვარ საბოლოო შედეგზე მათი მცდელობა გავლენას ვერ მოახდენს.

ვახტანგ ზენაიშვილი, პოლიტიკური პარტია „გირჩი“:– თუ იქნება გაყალბება, პარლამენტი არ ასახავს საზოგადოებაში არსებულ განწყობებს არ არ, ის გამორიცხული რომ ინტერესებისთვის ბრძოლა გადმოვიდეს ქუჩაში და მიიღოს მშვიდობიანი აქციის, რევოლუციის ფორმა. თუმცა, მე ვფიქრობ, ვინაიდან პროპორციული არჩევნებია, – მიახლოებული პროპორციულთან, – ასეთი სცენარი არ უნდა განვითარდეს. მგონია, რომ მეტ-ნაკლებად მოხდება პარლამენტზე სოციუმის ინტერესების ასახვა. წინასაარჩევნო გარემოს რაც შეეხება, ნაცნობი სიტუაციაა, ყოველთვის იყო ძალადობის ელემენტები, როცა ხელისუფლება ცდილობს, თავისი რესურსი გამოიყენოს. ასე იყო შევარდნაძის, აბაშიძის, მიშას ხელისუფლების დროს. დღესაც ამაზრზენი საყურებელია ხელისუფლების მხრიდან წამოსული ძალადობის მცდელობები. საერთოდ ძალაუფლება ადამიანებს თავბრუს ახვევს. ტყუილად არ არის ნათქვამი „ძალაუფლება ადამიანებს ხრწნის. აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად ხრწნისო“.

ნინო შეფიროული, პარტია „ჩვენი საქართველო – სოლოდაროების ალიანსი“: – ჯერჯერობით მშვიდი წინასაარჩევნო გარემოა. შეზღუდვა, ხელის შეშლა არ ყოფილა, მაგრამ არის მოსყიდვის ფაქტები. მაგალითად, ადგილი ჰქონდა ბურღულეულის დარიგებას. არის მუქარები ამომრჩევლის მისამართით. მაგალითად ეუბნებიან, რომ სოციალურ დახმარებას მოუხსნიან, ან „დასაქმებულები ხართ და როგორ არ გეშინიათ“. თუმცა, ჩვენ და ის ადამიანები, რომლებიც ჩემ პარტიას და მე მიჭერენ მხარს, დარწმუნებულები ვართ, რომ ნამდვილად შევცვლით სიკეთისკენ გურიას და ნამდვილად ვართ ის ძალა, რომელსაც გულწრფელად უნდა გურიის გამარჯვება და წარმატება. ამისთვის პირადად მე გავაკეთებ ყველაფერს. დავიცავ თითოეულ ხმას, დავიცავ თითოეულ ადამიანს. იმედს ვიტოვებ, რომ არ მომიწევს უკიდურესი ზომების მიღება. თუკი შევნიშნეთ ან წინასაარჩევნო პერიოდში ან არჩევნების დღეს გაყალბების ფაქტები, გვექნება მკაცრი, მყისიერი შეფასება და გვექნება ადექვატური პასუხი. ყველანაირ ზომას მივმართავ კანონის ფარგლებში.

ოთარ ქერქაძე, პარტია „მოქალაქეები“:– საქართველოში, ტრადიციულად როცა არჩევნები

ახლოვდება, ხელისუფლებაში მყოფი პარტია მანიპულირებს მოსახლეობაზე. ამისთვის ბევრი მექანიზმი აქვს. ერთ-ერთი მექანიზმია საჯარო სამსახურში დასაქმებულებზე გავლენის მოხდენა. ხდება ისე, რომ უმეტესწილად ადამიანებს უჭირთ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, გამოხატვა ამა თუ იმ პარტიის მხარდასაჭერად. აქვთ შიში, რომ ნათესავებს, ოჯახის წევრებს შეექმნებათ პრობლემა. გარდა ამისა, ხდება მატერიალური კუთხით მანიპულირება, არის მოსყიდვის ფაქტები, პროდუქტების დარიგება. მაგალითად, ვიცით, რომ ოზურგეთში „ქართული ოცნების“ მხრიდან ხდებოდა ბრინჯის დარიგება.

დიდი იმედი მაქვს, არჩევნების დღეს არ იქნება გაყალბების მცდელობა, ყველაფერი ჩაივლის წესების და ეთიკის დაცვით. მაგრამ თუ რამე ინციდენტი მაინც იქნება, ხმების დასაცავად გამოვიყენებთ ყველა სამართლებრივ გზას. მივმართავთ სასამართლოს, ვითანამშრომლებთ მედიასთან.

ხათუნა გოგორიშვილი, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“: –პირველ რიგში, ვიტყვი, რომ საქართველოს

ყველა ოპოზიციურმა პარტიამ მოაწერა ხელი მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც არ იარსებებს ჩემი და სხვისი ხმა. ყველა ოპოზიციური პარტია, მიუხედავად იმისა, ჰყავს კომისიის წევრები თუ წარმომადგენლები საარჩევნო უბნებზე თანაბრად დაიცავენ ერთმანეთის ხმებს, ყველა ხმა იქნება ბოლომდე დაცული. მინდა მივცე პირობა „ქართულ ოცნებას“, მიუხედავად მათი მცდელობებისა, გამოიყენონ ადმინისტრაცული რესურსი, ისინი ვერ შეძლებენ, რომელიმე ოპოზიციური პარტიას თუნდაც ერთი ხმა დაუკარგონ. რაც შეეხება საარჩევნო გარემოს, ბოლო წლებში საქართველოში ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანი არჩევნებზე მიდის და ხმას აძლევს არა იმ პარტიას, რომლის რეალური მხარდამჭერიცაა, არამედ იმას, რომელსაც დაავალებენ. იმის შიშით, რომ თვითონ ან ოჯახის წევრები არ დარჩნენ სამსახურის,ან სოციალური დახმარების გარეშე ხაზავენ 41-ს. ხშირ შემთხვევაში ფოტოსაც უღებენ, რომ გარეთ გამოიტანონ მტკიცებულებად. მინდა ვუთხრა ხალხს, არ მოატყუებინოთ თავი. ეს არ არის უბრალოდ საპარლამენტო არჩევნები, ეს არის რეფერენდუმი საქართველოს მომავლის შესახებ. ერთხელ ყველამ ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ვუთხრათ არა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას.

ბოლო დღეების განმავლობაში ყველა ნახავდა იმ დაპირისპირებას, რომელშიც „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირები არიან ჩართული. მაშინ, როცა კონკრეტული მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იქამდე მიდის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს ფიზიკურად უსწორდება სამართლიან საარჩევნო გარემოზე ლაპარაკი აღარ შეიძლება? ეს არის აგონიაში მყოფი ხელისუფლების მოქმედება. იმ ხელისულებისა,რომელმაც იცის, რომ არჩევნებს აგებს.

როცა გურიაში ამოამრჩეველს ხვდები, ყველას უნდა, რომ ქვეყანაში მდგომარეობა შეიცვალოს. უნდათ ცვლილებები ეკონომიკის მიმართულებითაც, სამართლის მიმართულებითაც, განსაკუთრებით აწუხებთ ინფრასტრუქტურული პრობლემები.

კოვიდ პანდემიის პირობებში შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ საარჩევნო უბანზე მისვლა სახიფათოა ხალხმრავლობის გამო. მინდა, ვთხოვო ყველას, თითოეულ მოქალაქეს, ამომრჩეველს, არ დაიზაროთ, არ შეგეშინდეთ, აუცილებლად მიდით არჩევნებზე და დაუჭირეთ მხარი იმ პარტიას რომელსაც ჩათვლით საჭიროდ. უარი უთხარით ბიძინა ივანიშვილს და მის ხელისუფებას.

გოჩა ძიმისტარიშვილი, დამოუკიდებელი კანდიდატი: –ძალიან დაძაბული წინასაარჩევნო გარე-

მოა. ხდება მოსახლეობის მოსყიდვა. საარჩევნო კამპანიაში აშკარად ხელს არ მიშლიან, მაგრამ ჩემ ნათესავებთან, ახლობლებთან დადიან, რომ მიღალატონ. ამით ყველაფერია ნათქვამი.

მასალა მოამზადა
მარი კოკოევმა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

100 %-იანი გრანტის მიმღები სტუდენტების საყურადღებოდ!!!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მე-5 წელია ახორციელებს წარმატებულ აბიტურიენტთა პროგრამას, რომელიც 100% გრანტის მფლობელ ახალგაზრდებს და მათ აღმზრდელ სკოლებს აჯილდოვებს.

წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით 100 %-იანი გრანტის მფლობელ სტუდენტებს მუნიციპალიტეტი საჩუქრად 3 000 ლარს, ხოლო აღმზრდელ სკოლებს 1000 ლარს გადასცემს.

ამისათვის სტუდენტებმა მიმდინარე წლის 16 სექტემბრიდან - 16 ოქტომბრამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინონ:

განცხადება;

უნივერსიტეტიდან სტუდენტის ჩარიცხვისა და 100%-იანი გრანტის მიღების შესახებ ცნობა;

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ანგარიშის ნომერი;

არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობლის საბანკო რეკვიზიტი და დაბადების მოწმობა.

ვიქტორ ყიფიანი - საქართველოს, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით, შეუძლია აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო პროცესის დაწყებას ხელი შეუწყოს

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა განაცხადა, რომ საქართველოს მზაობა, უმასპინძლოს კონფლიქტის მხარეების წარმომადგენელთა შეხვედრას თბილისში, ხელს შეუწყობს დიალოგის პროცესის დაწყებას. ამის შესახებ მან საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მიერ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამხედრო დაპირისპირების შედეგად შექმნილ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების შეფასებისას აღნიშნა.

„დიალოგის პროცესის დაწყება მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისათვის, რომ მხარეები მოლაპარაკებების რეჟიმზე გადავიდნენ და კონსენსუსის შედეგად შეძლონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა. საქართველოს, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, შეუძლია, სამშვიდობო პროცესის დაწყების ფასილიტატორი გახდეს. თუმცა, სამშვიდობო ფორუმის სათანადოდ მასპინძლობისთვის უმნიშვნელოვანესია უსაფრთხოების შესაბამისი ზომების განხორციელება საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით, რათა თავიდან ავირიდოთ ნებისმიერი ტიპის ესკალაცია, დაძაბულობა“, - განაცხადა ვიქტორ ყიფიანმა.

„სამხრეთ კავკასიის სტაბილურობისა და განვითარებისათვის აუცილებელია სამხედრო კონფლიქტის დეესკალაცია და კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარება. ამის რესურსი უნდა გააჩნდეს საერთაშორისო თანამეგობრობას. ომს ყოველთვის მოაქვს ზიანი და ამ მტკივნეული პროცესის შესაჩერებლად საჭიროა, მხარეები დავარწმუნოთ დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმის უალტერნატივობაში.

საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობები კონფლიქტის ორივე მხარესთან იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ როგორც უნივერსალური, ისე რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, თბილისმა მხარეებს შორის სამშვიდობო დიალოგს უმასპინძლოს“,- აღნიშნა ანალიტიკურიორგანიზაცია „ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა.

ინფორმაციას ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ პრესსამსახური ავრცელებს.

სიმონ ხუნდაძე და ქართული ენის საკითხი პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი ამბების შემდეგ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა თბილისი დატოვა და საბოლოოდ ევროპისკენ აიღო კურსი.

ქართველმა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა შექმნეს საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი (წევრები: პ.იაშვილი, ლ. მეტრეველი, გ.ვაშაძე), პარალელურად ფედერალისტებმა ჩამოაყალიბეს დროებითი მთავარი კომიტეტი შალვა ნუცუბიძის თავმჯდომარეობით. ისინი მიესალმენ ახალ ხელისუფლებას და გამოთქვეს მასთან თანამშრომლობის სურვილი. 1921 წლის 5-9 ივნისის პარტიულ კონფერენციაზე სოციალისტ-ფედერალისტებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა და 30 ოქტომბრიდან 3 თებერვლამდე მიმდინარე ყრილობამ გააფორმა მათი ორ პარტიად გათიშვა. შალვა ნუცუბიძემ ვერ მოახერხა მათი გაერთიანება. გათიშვის შემდეგ სიმონ ხუნდაძე საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი წინამძღოლია, რომელსაც მხარს უჭერდა ინტელიგენციის მოზრდილი ბირთვი, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. მათ სურდათ ამ პარტიის მეშვეობით ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.

კომუნისტური პარტიაც ცდილობდა მიემხრო საზოგადოების სოციალისტურად თუ სოციალისტურ-ლიბერალურად განწყობილი ნაწილი, ამის მაჩვენებელია მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მონაწილეობა საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაში (1922 წლის 25 თებერვალი-4 მარტი), ხოლო სამი მათგანი თედო ღლონტი, სიმონ ხუნდაძე და პარმენ ჭანიშვილი არჩეული იქნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) წევრებად.

სოციალისტ ფედერალისტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყრილობის მუშაობაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სიმონ ხუნდაძის გამოსვლას იმ კამათის დროს, რომელიც პირველი საბჭოთა კონსტიტუციის გამო გაიმართა. იგი მოითხოვდა კონსტიტუციაში ფორმულირება პროლეტარიატის დიქტატურა მშრომელი ხალხის დიქტატურად შეეცვალათ. მისი სიტყვით, რადგან ჩვენს ქვეყანაში პროლეტერიატი მხოლოდ 2 პროცენტია, დიდი უმრავლესობა კი გლეხობა, ამიტომ საქართველოს სოციალურ მდგომარეობასა და მის პირობებს სავსებით შეეფერება. ს. ხუნდძის დებულება ყრილობამ არ მიიღო.

ფედერალისტებმა განსაკუთრებით მწვავე პოლემიკა გამართეს მეორე საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის საკითხს ეხებოდა. ს.ხუნდაძე ყრილობაზე თავის მოხსენებაში აღნიშნავდა - უმთავრესი საკითხი, მშრომელმა მასამ, რომელიც აწესებს თავის დიქტატურას გარკვევით უნდა თქვას თავის გადაწყვეტილება ენის შესახებ, შეიძლება ენის საკითხი რუსეთში არ წამოჭრას ისეთი სიმწვავით, როგორც საქართველოში. მასისთვის ენის საკითხი არის უმთავრესი საკითხი, კონსტიტუციაში კი ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება მისი სუვერენული უფლებაა. ეს არ ნიშნავს რომელიმე ენის ჩაწიხვლას საქართველოში..... ამისათვის კონსტიტუციონალური გარანტიები გვაქვს მათთვის, მაგრამ ეს არსებითად არ უარყოფს იმას, რომ საქართველოში სადაც 75% ქართველები არიან სახელმწიფო ენა უნდა იყოს ქართული. ამ მხრივ ყოვლად მიუღებელია, რომ კონსტიტუციაში არ აღვნიშნოთ სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადება. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების ფრაქცია ნათლად და გარკვევით მოითხოვს, რომ კონსტიტუციაში შეტანილი იყოს მუხლი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ.

სამწუხაროდ ყრილობაზე გამოსულმა ბოლშევიკებმა, მათ შორის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ბ.კვირკველიამ განაცხადა, რომ ჩვენს კონსტიტუციაში ასეთი მუხლის შეტანა ზედმეტიაო. ცხარე კამათის შემდეგ ს.ხუნდაძეს მხარი დაუჭირა ამ პოლემიკაში ჩაბმულმა კრების თავმჯდომარემ თ.კალანდაძემ, რომელმაც შემდეგი განაცხადა: რაც შეეხება სახელმწიფო ენას ეს აშკარაა, რომ საქართველოში იქნება ქართული ენა, სადაც უმრავლესობა ქართულ ენაზე ლაპარაკობს, თუ ყრილობა მოისურვებს და მოითხოვს ჩვენ შევიტანთ ამას კონსტიტუციაში. ამ დროს დარბაზში გაისმა ხმები: შეიტანეთ, შეიტანეთ. და ს.ხუნდაძის გამოსვლამ და დარბაზში შექმნილმა განწყობილებამ აიძულა ყრილობის ორგანიზატორები დაეკმაყოფილებინა აღნიშნული მოთხოვნა.

ქართული ენის სახელმწიფო სტატუსით დამკვიდრებას დიდი და მრავალმხრივი შორსმიმავალი პოლიტიკური შედეგი ჰქონდა. ეს იყო ოპოზიციაში მყოფი ლეგალური პარტიის და კერძოდ ს.ხუნდაძის მეთაურობით მოპოვებული დიდი გამარჯვება. ამ გადაწყვეტილებამ საშუალება მოგვცა შემდგომში მოგვეგერიებინა კრემლის რუსიფიკატორული პოლიტიკა.

მისი მნიშვნელობა კარგად ესმოდა ე.შევარდნაძეს და როდესაც ახალი რიგით მეოთხე საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციის პროექტში კვლავ საფრთხე დაემუქრა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს, თავად მისცა ბიძგი ამ მუხლის დატოვებას, თბილისში გამართულ საერთო ეროვნულ დემონსტარციას. ე.შევარდნაძე უკავშირდება სკკპ გენერალურ მდივანს ლ.ი.ბრეჟნევს, რომელმაც ურჩია, რომ მოლაპარაკებოდა მ.სუსლოვს, კ.ჩერნენკოს და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიემართა მისთვის. „ადვილი როდი იყო მათი დარწმუნება, რომ სახელმწიფო ენის შესახებ მუხლის გაუქმება უგუნური იყო“ - იგონებდა ე.შევარდნაძე - ჩემს არსებში უწინდებურად ცოცხლობდა 1956 წლის კომპლექსი“. ცნობილი იყო, რომ მშობლიური ენის დასაცავად მზადდებოდა სტუდენტური დემონსტრაცია, მე მესმოდა თუ რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. სესიის დაწყების დღეს, მის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, განთიადზე ველაპარაკე ტელეფონით მ.ა.სუსლოვს. მე ვთხოვე გაეცნო ლ.ი.ბრეჟნევისთვის ეს ვითარება, შევახსენე 1956 წელი, ვარწმუნებდი, რომ მუხლის შენარჩუნებაა უცილებელი იყო და ბოლოს ვუთხარი, რომ ჩემი შეხედულებებით ვიმოქმედებდი. ჩვენ დიდი უბედურება ავიცდინეთ და ხალხის ნების შესატყვისი კონსტიტუცია მივიღეთ. აი ეს იყო ჩემთვის მთავარი!“ აღვნიშნავთ, რომ 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია თავისი მასობრიობით ბევრად აღემატებოდა 1922 წლის 2 მარტის მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერის ს.ხუნდაძის მეთაურობით გადახდილ დიდ საერთო ეროვნული მნიშვნელობის მქონე საპარლამენტო ბრძოლას, მაგრამ ფაქტობრივ-ლოგიკურად განაგრძობდა მაშინ დაწყებულ პოლიტიკურ კურსს (არჩილ კოხრეიძე 2005).

ვინ იყო სიმონ ხუნდაძე?

სიმონ ირაკლის ძე ხუნდაძე დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფ. კადოგონში (ამჟამად ჩოხატაურის რაიონი) 1894 წლის 15(3) ნოემბერს, მისი ძმები იყვნენ პროფესორი ტროფიმე ხუნდაძე, იუნკერი გედევან (გედეონ) ხუნდაძე რომელმაც 1921 წელს დატოვა საქართველო, და ცხოვრობდა პოლონეთში დახვრეტილი იქნა გერმანელების მიერ 1942 წელს პოლონელი პარტიზანებისათვის იარაღით დახმარების გამო. მას ყავდა კიდევ ერთი ძმა და და.

ს. ხუნდაძემ ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა მეფის ხელისუფლება დაემხო, ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი, ახალ ხელისუფლებას მიემხრო და ეხმარებოდნენ მას მათ შორის იყო ს. ხუნდაძე. იგი პრესაში აქვეყნებს სტატიებსა და წერილებს.

1917 წელს საქართველოში ბრუნდება როგორც უკვე ჩამოყალიბებული პუბლიცისტი და ჟურნალისტი, და შეუდგა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლას, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 1911 წლიდან სოციალისტ-ფედერალისტი იყო . აღნიშნული პარტიის ორად გაყოფის შემდეგ ს. ხუნდაძე შემდგომ სოციალისტ-ფედერალისტთა ერთერთ წინამძღოლად მოგვევლინა.

1924 წლიდან ს. ხუნდაძემ თავი დაანება პოლიტიკურ მოღვაწეობას და აქტიურად ჩაება მეცნიერულ საქმიანობაში მან მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ ეკონომიურ ფაკულტეტზე, ასისტენტად, შემდეგ მუშათა ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს. 1928 წელს გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, და ჟურნალ „ ქართული მწერლობაში“ პასუხიმგებელი მდივანი, ხელმძღვანელობდა სახელგამისა და „ ქართული წიგნს“. 1933 წლიდან ს. ხუნდაძე ახალი ისტორიის კათედრის ხელმძღვანელია.

ს. ხუნდაძის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოქვეყნებული ნაშრომი, მათ შორის „თანამედროვე იმპერიელი-ზმის პრობლემები“ წიგნი I(1923წ) „მარქსის ინტერნაციონალი“, „ქართული ინტერნაციონალისპროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“ ,(1928) „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, „ჩერნიშევსკი“, „ლევ ტოლსტოი და სოციალიზმი“ , „დიმიტრი ყიფიანის მემუარები“ 1931 წელს გამოიცა გ.წერეთლისა და ნ.ნიკოლაძის რჩეული ნაწარმოების I ტომები, შემდეგ წლებში კი ეგ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ორი ტომი, მესამე ტომი მოგვიანებით გამოიცა. 1932 წელს უნდა გამოცემულიყო 1832 წლის შეთქმულების ამსახველი დოკუმენტების Iტომის. ხუნდაძის და გ. გოზალიშვილის რედაქციით, მაგრამ იგი 1935 წელი. გამოიცა გ. გოზალიშვილის რედაქციით, რადგან ს. ხუნდაძე უკვე გარდაცვლილი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა „ნარკვევები“, „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“ (1949წ) რომელშიც განხილული იყო დ. ყიფიანის, გრ. ორბელიანის, ს. რაზმაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ი. მაჩაბლის, გ. წერეთლის, ხომლელის, ე. ბოსლეველის დ. კლდიაშვილის და სხვათა მოღვაწეობა.

ს. ხუნდაძე მოღვაწეობდა თბილისის უნივერსიტეტში , 1932 წელს საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეობა დატოვა ფ.მახარაძემ. დეკემბერში იგი ორ ნაწილად გაიყო - ძველი ისტორიის კათედრის ხელმძღვანელობა დაევალათ ი. ჯავახიშვილს, ახალი ისტორიის ს. ხუნდაძეს. 1933 წელს ორივე კათედრა გაერთიანდა და მას სათავეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილი. ს. ხუნდაძე ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგედ და შეთავსებით ისტორიის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს.

დაძაბულმა მუშაობამ, ტენდენციურმა კრიტიკამ, ლანძღვამ თავისი გაიტანა, გულმა ვეღარ გაუძლო და 1933 წლის 21 აგვისტოს 39 წლის მეცნიერი მოულოდნელად გარდაიცვალა.

სიმონ ხუნდაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას წიგნი მიუძღვნა არჩილ კოხრეიძემ, რომელიც დაიბეჭდა 2005 წელს.

ლევან ძველაძე
მანანა ლომაძე

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის კანდიდატის შოთა გოგიბერიძის მიმართვა ამომრჩევლებს

გურიაში მცხოვრებმა მოქალაქეებმა ერთი რამ უნდა გაითავისონ — 31 ოქტ-ომბრის არჩევნები უნიკალუ-რი არჩევნებია. საქართველოს ახალი კონსტიტუციით ეს გახლავთ ბოლო არჩევნები, როდესაც გურიის მოსახლეობა მაჟორიტარული წესით აირჩევს თავის წარმომადგენელს საქართველოს პარლამენტში. ე. ი. ჩვენი არჩევნები უკვე კანონისმიერად ისტორიული არჩევანია. ჩვენვე ვქმნით ჩვენს ისტორიას და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რომ ეს არჩევანი ღირსეულ პიროვნებაზე შევაჩეროთ. აქ აღარ არის მოსატანი ფულით, ხათრით თუ სხვა მიზეზებით საარჩევნო ბიულეტენის შემოხაზვა. აქ მთელმა გურიამ დაფიქრებული, შეწონილი, შეფასებულ-გადაფასებული და საკუთარ თავთან თუ ახლობელ-მეზობლებთან მსჯელობა-კამათში გამოტარებული გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ.

რეგიონი სამ მუნიციპალიტეტს მოიცავს. ამიტომ კანდიდატები ძნელად თუ მოახერხებენ ყველა უბანში მოსახლეობასთან შეხვედრას. სწორედ აქ არის საჭირო გურიისთვის დამახასიათებ-ელი ინფორმაციის ელვისებური გავრცელების ხალხური მეთოდით კანდიდატთა პიროვნულ თვისებებსა და მატ მიერ განვლილ ცხოვრებაზე, პროფესიონალიზმსა და პატიოსნებაზე არსებული საზოგადოებრივი აზრის მაქსიმალურად გათვალისწინება — ხალხში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული შეფასებისადმი მინდობა, რადგანაც ერის ხმა ყოველთვის ჭეშმარიტებას ღაღადებს: იტყვის ხალხი, ეს კაცი მტაცებელი და კორუმპირებულიაო და ასეც არის, იტყვის, კეთილსინდისიერი და პატიოსანიაო და ესეც ბეჭედდარტყმული ჭეშმარიტებაა.

ამიტომაც, მოგიწოდებთ, ყური დაუგდოთ ხალხში გავრცელებულ შეფასებებს და ხმა მივცეთ ისეთ ადამიანებს, რომლის დეპუტატობა და გურიის წარმომადგენლობაც საამაყოდ გვექნება და არა სასირცხვილოდ.

ჩემი მხრივ კი, კაცურად გეტყვით, თქვენთვის მოც-ემული დანაპირების შესასრულებლად ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ. თქვენი შეფასების გარდა, „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინი იქნება და ის ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან. ასე სწამდა დიდ ილია ჭავჭავაძეს და მეც ჩემი ცხოვრების გზა ამ პრინ-ციპით განვლე. რეგ-ონში უამრავი პრობლემაა. ამიტომ თქვენი მხარდ-აჭერით მიღებული პოლიტიკური ლეგიტიმაცია მომ-ცემს საშუალებას, ვიშრომო და სადაც საჭი-როა, ვიბრძოლო მათ გადასაჭრელად. თქვენს ხელთაა თქვენი ოჯახებისა და თქვენი საყ-ვარელი გურიის მომავალი.

უფალმა მოგცეთ ძალა და სიბრძნე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

პატივისცემით,
შოთა გოგიბერიძე.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

მადლიანი კაცი

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი დიდი ქართველობით, საქმის ღრმა ცოდნით, ხალხის უანგარო სამსახურით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით სიყვარულსა და სიმპათიას იმსახურებენ. სწორედ ასეთ პიროვნებად წარმოგვიდგენია შოთა გოგიბერიძე. მისი ცხოვრების მიზანი ყოველთვის იყო ადამიანებთან კარგი ურთიერთობა, კეთილგანწყობა, მხარში ამოდგომა, დახმარება და ნუგეში. იგი ოზურგეთის ცნობილი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლების, გურამ გოგიბერიძის და ვალენტინ არობელიძის ტრადიციულ ოჯახში გაიზარდა. ის იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში, სადაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ საქმეში.

წარჩინებული სწავლისა და უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაშია ჩაბმული, რომელიც დაიწყო მშობლიურ ოზურგეთში, რაიონული გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსად, ხოლო 1995 წლიდან დაინიშნა გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მაშველთა კორპუსის და სამართალდამცავი სამსახური უფროსად.

მისი საქმიანობის შედეგად, როგორც გურიის გუბერნიაში, განსაკუთრებით კი ოზურგეთის რაიონში ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. როგორც გამოცდილი იურისტი და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივმა სპეციალისტმა, გარკვეული წვლილი შეიტანა ანტიკორუფციული კანონმდებლობის შემუშავებასა და პოპულარიზაციაში. სათავეში ედგა გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან შექმნილ ანტიკორუფციულ საზოგადოებრივ საბჭოს.

იგი არის გაეროს განვითარების ფონდის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული საჯარო მოხელეთა კონკურსში გამარჯვებული.

მას ნიჭი და მადლი უხვად დააბერტყა ღმერთმა. სადაც კი იმუშავა, არავისთვის უგრძნობინებია თავისი აღმატებულება, არასოდეს უღალატია თავისი შინაგანი ბუნების და ცხოვრების წესისთვის. კაცთმოყვარეობა, ვაჟკაცური შემართება გასდევდა მის ყოველ ნაბიჯს. საინტერესო ცხოვრების გზა განვლო, სადაც პასუხისმგებლობით,, პროფესიონალიზმით, კეთილგონიერებით, ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული თვისებებით ეპყრობოდა ყოველ მინდობილ საქმეს. ყოველთვის ხელმძღვანელობის ნდობით და მოსახლეობის პატივისცემით სარგებლობს. ყველასთან პატივისცემაზე აგებული ურთიერთობა აქვს. პრიორიტეტს ყოველთვის საქმიან თვ-ისებებს ანიჭებს.

მისი საზრუნავი, მიზანი და საწადელი ყოველთვის იყო, არის და იქნება საკუთარი ღირსების დაცვა, მოვალეობის პირნათლად და სამართლიანად შესრულება, პატიოსნება, კეთილშობილება, გულისხმიერება ყველას მიმართ. მისი ნამდვილი ბუნება და სიკეთე ყველგანაა, სადაც მისი ყოფნა აუცილებელი და საჭიროა.

იგი უშურველად ემსახურება თავისი დროის ადამიანებს, როგორც თავის ქვეყანასა და საქმეზე შეყვარებული კაცი. რა თქმა უნდა, მისი მოღვაწეობა არაერთგვაროვანია და წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ შეუბღალავი და გაწონასწორებული.

რაფინირებული ინტელიგენტი, კრისტალური პიროვნება, საზოგადოებაში გამორჩეული, მომხიბლველი გარეგნობით და მანერებით და შესანიშნავი თამადა, რომელსაც ქართული სუფრის — ამ ტრადიციული ფენომენის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. მისი სამეგობრო წრე დიდი და ულევია. რაც მთავარია, ყველას დამხმარე და ხელშემწყობია. ოჯახი გამორჩეული ჰყავს, მართლაც, რომ სანიმუშოა, შესანიშნავი მეუღლე მაკა გოგუაძე დამშვენებული ქალ-ვაჟით.

მეტად ნიშანდობლივია მისი პოლიტიკური ცხოვრების ხელმეორედ დაწყება, რაც განაპირობა ქვეყანაში „ნაციონალების“ მოსვლის შემდგომ შექმნილმა მეტად მძიმე მდგომარეობამ და სწორედ ამან მიაღებინა გადაწყვეტილება, ჩადგომოდა სათავეში ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ ოზურგეთის „საქართველოს პატრიოტთა“ ალიანსის“ ოზურგეთის ორგანიზაციას. რამდენადაც მრავალმხრივი და შინაარსიანი საქმიანობის შედეგად დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე და გამოცდილება დაუგროვდა, რომელიც ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ უნდა გამოიყენოს, სრული უფლება აქვს, მოიპოვოს საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობისა და ქვეყნის მომავალი ინტერესების დაცვა, რისთვისაც „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ შოთა გოგიბერიძე წარდგენილი იქნა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატად.

ვუსურვებ წარმატებას!
ჯონი ცინცაძე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი.
გაზეთი „ჰო და არა“.

უფასო გამოკვლევები ოზურგეთში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში, მოსახლეობისათვის უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა.

უფასო კონსულტაციები გამართა შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკის“ ექიმთა ჯგუფმა კარდიოლოგიური დეპარტამენტის უფროსის, **გიორგი კალანდაძის** ხელმძღვანელობით.

მოსახლეობას ჩაუტარდა შემდეგი მომსახურება: კარდიოლოგიურ დიაგნოსტიკური გამოკვლევები; თერაპევტის და კარდიოლოგის კონსულტაცია; ელექტროკარდიოგრამა და

კარდიოექოსკოპია.

უფასო გამოკვლევები ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების სრული დაცვით მიმდინარეობდა.

„აუცილებლად დავდგები ფეხზე და არ დავნებდები“

ალიონი. ჩვენს მეგობარს, მთისპირელ თამუნა შავაძეს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვასილ ჩიგოგიძე ესტუმრა.

„აუცილებლად დავდგები ფეხზე და არ დავნებდები ვიბრძოლებ უკეთესი ცხოვრებისთვის“— ეს სიტყვები თამუნა შავაძეს ეკუთვნის, რომელმაც წლების წინ დედის გადასარჩენად თავი გასწირა. როცა დაინახა, რომ დედას ხე ეცემოდა, ხელი ჰკრა, წაქცეული ხე კი მას დაეცა.

„თამუნა შავაძეს ოზურგეთში, სოფელ მთისპირში ვესტუმრე. ძალიან ჭკვიანი, და სამგალითო გოგოა, ბევრი რამ მომყვა. ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე. რობოტოთერაპიის შემდეგ, როცა ხელებში მგრძნობელობა დაუბრუნდება უნდა სწავლის გაგრძელება და შემდგომ სამსახურის დაწყება. მომყვა, როგორ უდგას ადგილობრივი ხელისუფლება გვერდში, ბევრი კეთილი ადამიანიც დაეხმარა. განსაკუთრებით აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის დახმარება და მხარდაჭერა.

მჯერა, რომ თამუნა ისევ შემომეგებება ეზოში, დედის დახმარების გარეშე, ისევ აიღებს კალამს ხელში და გადაშლის წიგნს. მას ეუნება ჩემი სრული მხარდაჭერა,

მაქსიმალურს გავაკეთებთ და მიზნის მიღწევაში აუცილებლად დავეხმარებით—წერს საკუთარ ფეისბუქგვერდზე **ვასილ ჩიგოგიძე.**

თამუნა შავაძესთან მეგობრობენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, საჯარო მოხელეები.

როცა თამუნამ მძიე ტრავმა მიიღო უკანავაში არ იყო შუქი, მხოლოდ მდინარე ბახვისწყალზე მოწყობილი კუსტარული მოწყობილობებით იღებდნენ პერიოდულად დენს. არ მოძრაობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი. შემდეგ მეუფე დიმიტრიმ სატელიტური ანტენა გამოუგზავნა. იმჟამინდელი ხელისუფლების დახმარებით მთისპირიდან 4 კილომეტრი ელექტროსაზი შეიყვანეს. 2012 წლის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა ამ უბანში... თამუნას რამდენჯერმე ესტუმრა არჩილ თალაკვაძე.

კეთილი ადამიანების დახმარებით თამუნა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებისთვის, გარკვეული წინსვლისთვის.

იმედია, ეს თანადგომა შედეგს გამოიღებს.

ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო!

ამბავი, რომელიც ერთი საუკუნის წინათ მოხდა



ოზურგეთის სოფელ მერიაში (გოგორეთში) ცხოვრობდა ორი ძმა – თედორე და დიომიდე მარგალიტაძეები. მეფის მთავრობაზე განაწყენებული ძმები ყაჩაღებად გავარდნენ აყაჩაღებდნენ საფოსტო მატარებელს, გემებს და სხვა. ისინი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიჭირეს და მოათავსეს თბილისის მეტეხის ციხეში. სასამართლომ უმცროს ძმას, დიომიდეს დახვრეტა მიუსაჯა, უფროსს თედორეს კი – გადასახლება. ერთ დღეს, როგორც წესი იყო, ღამის 2 საათზე დასახვრეტად გამოიძახეს დიომიდე. მის უფროს ძმას თედორეს წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული ყველა, რომ დიომიდეს მაგივრად თვითონ გავიდოდა დასახვრეტად და ასეც მოხდა: თედორე დახვრიტეს, ხოლო დიომიდე გადაასახლეს ციმბირში.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი ციმბირიდან სურათს უგზავნის მის რძალს, სონია გაბედავას წარწერით: „ჩემი გადასახლების გამო. სახსოვრად სონიას, დიომიდესაგან, 1906 წელი, 18 ენკენისთვე. საგუბერნიო ციხიდან“.

მოკლედ იმის შესახებ თუ როგორ გახდა სონია გაბედავა დიომიდეს რძალი: თედორე, როგორც წარმოსადეგი ვაჟკაცი და ერთგული მეგობარი ხშირად მიჰყავდათ ქალის მოსატაცებლად. ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად, ღამით მოაკითხა მეზობელმა ამ მიზნით. მოიტაცეს გაბედავას ქალი, რომელიც სასტიკ უარზე დადგა, მაგას არა და შენ კი გამოგყვები ცოლადო, უთხრა თურმე თედორეს. საბოლოოდ ასეც მომხდარა.

სამწუხაროდ დიომიდეს, ამ სურათის გარდა, არაფერი დარჩენია. მის გადამრჩენელ უფროს ძმას, თედორეს კი დარჩა ერთი ქალიშვილი, სახელად ჟენია, რომელიც გათხოვილი იყო სამტრედიის რაიონის სოფელ პირველ მაისში, შალამბერიძეზე. ჟენია კარგა ხმის გარდაცვლილია, ჰყავს შვილები, ბიჭები და სიცოცხლე გრძელდება.

ვახტანგ მარგალიტაძე,
15 სექტემბერი, 2020 წელი
ტელ. 574 83 54 98.

იყიდება 60 მმ-იანი რკინის მილები (ფასი შეთანხმებით) დარეკეთ: 593 28 21 19

მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება ყველაზე იაფად და ხარისხიანად ტელ: 598 00 53 53

სკანვორდი



პასუხები:

ხელოვნება — ბეგათინელ — ძმები ნაქარიდ - ალა; ალიფადი ფეხბურთელი ფერმერი - ალიფალიანი - ალიფალიანი-ალიფალიანი - ალიფალიანი; ალიფალიანი - ალიფალიანი - ალიფალიანი; ალიფალიანი - ალიფალიანი - ალიფალიანი; ალიფალიანი -

რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა

(საქართველოს საეგზარქოსოსა და ეპარქიების მმართველობა)

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

დასაწყისი იხ. „ალიონი,“№25-26



„მაშინ მე გაზეთში გამოვაცხადე იმის სახელი, ვინც იყო ამის მოქმედი და რომ ჩემზე ეჭვის შემოტანა არავის შესძლებოდა, თვით აფიციალურს ჩემს ანგარიშშიც დავასახელე, ვინც ამის მოქმედი იყო. ეს ანგარიში ფოთის საბჭომაც დაადასტურა და ეპისკოპოსმაც დაადასტურა (...)". მიუხედავად ყოველივე ამისა, ოპონენტები თედო ჟორდანიასადმი წაყენებულ ბრალდებას საეჭვოდ არ მიიჩნევდნენ და პრესაში მის წინააღმდეგ გამოსვლებსაც განაგრძობდნენ.

არსებული დოკუმენტების ანალიზის შედეგად აშკარა ხდება, რომ თედო ჟორდანია, როგორც მოქალაქე და მეცნიერი, არც მეგრელების არაქართველობას ამტკიცებდა და არც სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის მეგრულით შეცვლის მომხრე იყო. პირიქით, იგი, როგორც გურია-სამეგრელოს, ისე იმერეთის ეპარქიაში მოღვაწეობისას სკოლებში ქართული ენის უფლებების დაცვის თავგამოდებული მხარდამჭერი გახლდათ, ამასთან ერთად, ისიც ცხადია, რომ თედო ჟორდანიას ყოველთვის არ ჰყოფნიდა მოქალაქეობრივი გამბედაობა ღიად და აშკარად დაპირისპირებოდა საქართველოს ეგზარქოსსა და მის გარემოცვას.

* * *

უცხოეთში გამომავალი გაზეთი "საქართველო" 1904 წელსაც აგრძელებდა რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის საქართველოში გამტარებლების, ეგზარქოს ალექსი ოპოცკისა და დეკანოზ იოან ვოსტორგოვის მხილებას. გაზეთის 1904 წლის მეათე ნომერში(1 მარტს) გამოქვეყნდა მიმართვა **„მეგრელებისადმი".** მიმართვის ავტორი **არჩილ ჯორჯაძე** ან **თედო სახოკია** უნდა იყოს. მიმართვა გაბედული და მამხილებელი ტონითაა დაწერილი და პირდაპირ, მოურიდებლად ამხელს რუსიფიკატორებს : "შესრულდა, რაც კაი ხანია მოსალოდნელი იყო. რუსის მთავრობამ განდევნა სამეგრელოდან ქართული ენა. მთავრობის ღირსეულმა წარმომადგენელმა, რუსის სამღვდელოებამ განახორციელა დიდი ხნის განზრახული წადილი - სამეგრელოს სამრევლო სკოლებში აღკრძალა ქართული ენა და მის მაგიერ გააბატონა რუსული!" შემდეგ მიმართვის ავტორი საქართველოში რუსული სამღვდელოების მოღვაწეობას ეხება: "რუსის სამღვდელოება, რომელიც თავის სამშობლოში ფეხით თელავს იესოს მოძღვრებას, ყურმოჭრილი მონაა დესპოტიისა და მტაცვალობისა, რომელიც გუნდრუკს უკმევს მოწამეთა სისხლით შეღებილ ტახტს რუსეთის იმპერატორისას, რომელსაც ერთი ხმა, კრინტი არ დაუძრავს მეფისა და მის მინისტრების ათასის უსამართლოების წინააღმდეგ, გახრწნილი სამღვდელოება საქართველოში პოლიტიკოსობს, უმაღლეს პოლიტიკას ემსახურება, ქართველების გარუსება სწადია! „ღვთის მსახურნი, ქრისტეს მოძღვარნი ქართული ენის „გასანათლებლად" ვართ მოწვეულნიო". თვითონ დაცემულთ, თვითონ უკულტუროთ, თვითონ გაუნათლებელთ უნდათ ჩვენი ამაღლება და განათლება?!" არც ეგზარქოსი ალექსი ოპოცკი და დეკანოზი იოან ვოსტორგოვი დარჩენია უყურედღებოდ ავტორს: "ვოსტორგოვს, ეგზარხოსს ალექსის და მის მსგავსებს, სულით ღატაკებს, შეუძლიათ სადმე სიკეთე შეიძინონ? ზნეობით დაცემულებს შეუძლიათ ვისიმე ზნეობით ამაღლება? ბნელით მოცულებს, ბრმებს, უსინ-ათლოებს შეუძლიათ ვისიმე განათლება? ან ადამიანის დასახიჩრება, ენის მოსპობა, სულის შეხუთვა იქნება განათლება?" მიმართვის ავტორი ძალზე გაუღი-ზიანებია მეგრელების არაქართველებად მიჩნევას და იმის მტკიცებას, რომ ქართული ენა მეგრელებისთვის მშობლიური არ იყოს: „მეგრელები ქართველები არ არიან, ქართული ენა მეგრელთა ენა არ არისო". მერე ვინ გაჰყო ერთი ქართველი ერი? ვინ გათიშა სხვა-დასხვა თემისაგან შემდგარი ერთი ქართველი ერი? განა ერთს ენაზე არ უქადაგებდენ სახარებას მეგრელს, იმერელს, გურულს, ქართლელს, კახელს, მესხს? ერთ ენაზე არ ლოცულობდა მათი ეკლესია? ერთს ენაზე არ სწერდენ მათი მწერლები? ერთის ენით არ უზიარებდენერთმანეთს თავიანთ წუხილს, დარდს, სიხარულს და ბედნიერებას? ერთი არ იყო მათი წარსული? ერთი არ ყავდათ გმირები? განა რუსთაველი საერთო არ არის მათთვის? განა თამარი, დავით აღმაშენებელი ერთნაირად არ უყვარს ყველას? ყველასათვის ერთნაირად ძვირფასი არ არიან? ერთი არ არის მათთვის ეროვნული თავი-სუფლება?"მეგრელი რომ ქართველია და ქართული რომ მისთვის მშობლიური ენაა, მიმართვის ავტორის აზრით, კარგად იცის რუსეთის მთავრობამ და რუსმა სამღვდელოებამ, მაგრამ ამ სიცრუეს პოლიტიკური მიზნით ამკვიდრებენ:"მეგრელი ქართველი არ არის, ქართველი სულით და გულით? განა ეს საეჭვოა, ეს სადავოა და ეს არ იცის რუსის მთავრობამ და მისმა სამღვდელოებამ? იცის და ძლიერ კარგადაც იცის, მაგრამ ვითომ თავს იმართლებს და თუ დღეს სამეგრელოში უნდა გახადოს რუსული ენა მეგრელთა „დედა-ენათ", დაავიწყოს სამეგრელოს ქართველებს ქართული ენა, ხვალ საქართველოს სხვა ნაწილებიდანაც განდევნის ქართულს ენას, სხვა ქართველებზედაც იხმარს უსინდისო ძალ-მომრეობას!"

მიმართვა ასე თავდება: " სამეგრელოს ქართველებო! თქვენ მოგმართავთ ყველაზე უწინარეს. თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ, როგორ ღრმათ გიყვართ სამშობლო ქართული ენა, არა ერთხელ გამოგიცხადებიათ წინააღმდეგობა, როდესაც მთავრობას მოუნდომებია ქართული ენის გამოდევნა სამეგრელოს ეკლესიებიდან. დღეს ქართული ენა გამოძევებულია სკოლებიდან. რუსის მთავრობას უნდა ბავშვობიდანვე დაგავიწყოსთ სამეგრელოს ქართველებს ქართული ენა, უნდა პატარაობიდანვე ჩამოგაშოროსთ თქვენ ქართველს ერს, უნდა დაუძლუროს ქართველი ერი, გადაგვაროს და გაანადგუროს ჯერ ერთი ნაწილი, რომ მერე შეუდგეს დანარჩენ ერის მოსპობასაც. თქვენ არ გაჩუმდებით დღეს და მხნეთ გაუწევთ წინააღმდეგობას მთავრობის ძალ-მომრეობას. ქართული ენა თქვენი სისხლი და ხორცია და არავის არ დაუთმობთ მას! თქვენს შვილებს არ მიაბარებთ იმ სკოლებში, საიდანაც გამოდევნილია ქართული ენა. ის სკოლა ვერ აღზრდის თქვენს შვილებს, რომელმაც დედა-ენა უნდა დაავიწყოს მათ! თქვენ არ მიეკარებით, არ შეხვალთ იმ ეკლესიაში, სადაც რუსულათ სწირვენ და ლოცულობენ. ღვთის ხმა არ ისმის ისეთ ეკლესიაში, არამედ მხოლოდ მონობას გვიქადაგებენ! თქვენ მოითხოვთ, რომ სამშობლო ქართული ენა იქმნეს გაბატონებული თქვენს სკოლებსა და ეკლესიებში, სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებებში! თქვენი ცხოვრება, განათლება და წარმატება შეუძლებელია უქართულენოდ. თქვენ დაჰგმობთ და დასჯით ყველა მოძმეს, ვინც გიღალატებსთ, შეიქმნება იუდა გამცემელი, მიემხრობა რუსის მთავრობას და არ მოითხოვს ქართულ ენას!"

მიმართვა „მეგრელებისადმი" შესანიშნავად ამხელს რუსეთის მთავრობის, საქართველოს ეგზარქოსისა და მისი გარემოცვის ანტიქართულ პოლიტიკას. ცხადია, სიმართლეს ამ დოზით საქართველოში გამომავალი პრესა თავის მკითხველს ვერ მიაწვდიდა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილ მეგრელებისადმი მიმართვის მნიშვნელობას.

ანტიქართულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ გარკვეული ცვლილება განიცადა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თუმცა მომდევნო წლებში ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა.

თავი V. საქართველოს ეკონომიკური განვითარება

(XIX საუკუნის დასასრული – 1917 წელი)

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას გარკვეულ მიმართულებას აძლევდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში განსაზღვრავდა კიდეც, რუსეთის იმპერიაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები.

1893-1900 წლებში რუსეთში აღინიშნა სამრეწველო აღმავლობა. 1887-1892 წლებში რუსეთის იმპერიის საერთო ეროვნული პროდუქციის ზრდის ტემპმა 4,9%-ს მიაღწია, 1893 წელს – 8,1%-ს. XIX საუკუნის 90-იან წლებში საერთო ეროვნულ პროდუქციაში ცენტრალური სამრეწველო რეგიონის ხვედრითი წილი 31%-დან 26,5%-მდე დაეცა, თუმცა რეგიონი იმპერიის მასშტაბით პირველ ადგილს მაინც ინარჩუნებდა. 14,4%-დან 17,6%-მდე გაიზარდა სამხრეთ რუსეთის სამრეწველო რეგიონის ხვედრითი წილი. ჩრდილო-დასავლეთ სამრეწველო რეგიონის, ქალაქ პეტერბურგისა და ურალის სამრეწველო რეგიონების ხვედრითი წილი 11%-დან 6,9%-მდე შემცირდა. მკვეთრად ამაღლდა ბაქოს სამრეწველო რაიონის ხვედრითი წილი, რომელიც 1,6%-დან 6,9%-მდე გაიზარდა და ურალის სამრეწველო რეგიონს გაუსწრო. 5 სამრეწველო რეგიონი – ცენტრალური, ჩრდილო-დასავლეთ, ქალაქ პეტერბურგის, ურალისა და ქალაქ ბაქოს სამრეწველო რეგიონები –მთლიანი ეროვნული პროდუქციის 77%-ს იძლეოდა (ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის პოლონეთის სამრეწველო რეგიონი).

1901 წელს რუსეთში დიდი სამრეწველო კრიზისი დაიწყო, რომელიც 1903 წელს დასრულდა. კრიზისთან მოჰყვა დეპრესია, რომელიც საბოლოოდ 1908 წელს დაიძლია. ახალი სამრეწველო აღმავლობა რუსეთში 1909 წელს დაიწყო და პირველ მსოფლიო ომამდე (1914 წლამდე) გრძელდებოდა. განსაკუთრებით დიდი აღმავლობა 1910-1913 წლებში აღინიშნა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები საქარ-თველოში

1. მრეწველობა. XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში უკვე დასრულებული იყო კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების სამივე სტადია – **მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია, მანუფაქტურა, ფაბრიკა**. პროდუქციის ღირებულებითა და დასაქმებული მუშების რაოდენობით მრეწველობაში ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება პირველობდა, ხოლო მანუფაქტურა და მარტივი კოოპერაცია დეგრადაციას განიცდიდა. სერიოზული აღმავლობა იყო გადამამუშავებელ წარმოებაში, რომელიც ადგილობრივ ნედლეულს იყენებდა. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მომპოვებელი მრეწველობის ისეთი დარგებისთვის, როგორებიც იყო: მანგანუმის, ქვანახშირისა და სპილენძის მოპოვება. ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო საწარმოდ იქცა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები თბილისში და შედარებით მცირე სახელოსნოები და დეპოები საქართველოს სხვადასხვა დაბასა და ქალაქში.

მრეწველობის განვითარებას მოჰყვა ეროვნული ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბება. ქართული ეროვნული ბურჟუაზიისა და რუსეთშიკაპიტალიზმის სისუსტით კარგად სარგებლობდნენ უცხო სახელმწიფოების მრეწველები და წამყვან პოზიციებს იკავებდნენ წარმოებაში. უცხოური კაპიტალი ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მრეწველობის, სრული დაქვემდებარებისაკენ მიისწრაფოდა. XX საუკუნის დამდეგისათვის უცხოურ კაპიტალს ბაქოში ნავთობის მოპოვებაში, გადამუშავებასა და გატანაში გაბატონებული პოზიცია ეკავა. მომდევნო პერიოდში უცხოურმა ფირმებმა ბაქოს ნავთობის ძირითად ბაზრად რუსეთი გაიხადეს, რის შემდეგაც საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასმა აიწია. ამ პროცესმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოზე: ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული ბათუმში არსებული მძლავრი საწარმოები დაიხურა, ბათუმიდან ქარხნები ხმელთაშუა ზღვის აუზის ქალაქებში გადაიტანეს.

რუსეთისა და მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში მოქცეულ საქართველოს ეკონომიკაზე ძლიერადზემოქმედებდა საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ეკონომიკა სერიოზულად დააზარალა 1901-1903 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა და 1908 წლამდე მიმდინარე დეპრესიამ. უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისა და დეპრესიის გავლენა სწრაფად იქნა დაძლეული. 1909 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე საქართველოს ეკონომიკა აღმავლობით ვითარდებოდა.

2. სოფლის მეურნეობა. ბატონყმობის ნაშთების არსებობის მიუხედავად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობები სწრაფად ვითარდებოდა. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას გარკვეული თავისებურებანი გააჩნდა. საქართველოს სოფლის მეურნეობა საერთო-სარუსეთო და მსოფლიო სისტემაში იყო ჩართული. ამიტომ იყო, რომ მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა და რუსეთში მიმდინარე კრიზისები სერიოზულ გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობაზე, მისი ცალკეული დარგის განვითარებაზე.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დასავლეთ ევროპის ბაზრებზე მზარდი რაოდენობით შემოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, არგენტინისა და სხვა ქვეყნების მარცვლეული, რომელთა თვითღირებულება გაცილებით დაბალი იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პროდუქციასთან შედარებით. ჭარბი წარმოებისა და საკონკურენციო ბრძოლის გამწვავების შედეგი იყო აგრარული კრიზისი და ფასების დაცემა მარცვლეულზე. ევროპელი ფერმერები ამერიკელთა კონკურენციას ვერ უძლებდნენ და მარცვლეულის ნათესთა ფართობს საგრძნობლად ამცირებდნენ. ინგლისელი, დანიელი, ბელგიელი და ჰოლანდიელი მეწარმენი მარცვლეულის მოყვანიდან მასობრივად გადადიოდნენ მეცხოველეობასა და სარძევე მეურნეობაზე, რადგან ამ დარგის პროდუქციას ამერიკული კონკურენცია შედარებით ნაკლებად ემუქრებოდა.

(გაგრძელება იქნება)

ვასტანგ ბურული

(საქართველოს ახალი ისტორია, -(1801-1918). გვ.105-108

იუბილარი უარს ამბობს მისთვის ფართომასშტაბიანი საიუბილეო საღამოს მოწყობაზე

სურათზე: ჯემალ კეჭაყმაძე თავის მეუღლესთან, ნანული ქავთარაძესთან ერთად.

მსახიობი და მწერალი, ოზურგეთის კოლორიტი ჯემალ კეჭაყმაძე 19 ოქტომბერს 80 წლის გახდება. ორი კვირით ადრე, მაშინ, როდესაც ოზურგეთელი საზოგადოება საგანგებოდ ემზადებოდა ამ თარიღის აღსანიშნავად და ბატონ ჯემალს რამდენიმე საბენეფისო ვარიანტიც კი შესთავაზა, იუბილარმა უარი განაცხადა მისთვის ფართომასშტაბიანი საიუბილეო ღონისძიების გამართვაზე.

„იმის გამო, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა განსაცდელშია; რომ გამალებული საარჩევნო მზადებაა; რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 70% შიმშილობს; რომ ჩვენი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები განსაცდელშია; რომ თავს ესხმიან ჩვენს კათალიკოს-პატრიარქს; რომ ნამდვილი თუ მოგონილი კორონავირუსი მძვინვარებს; რომ ყოველდღიურად იკარგება ქართული მიწები; რომ გვართმევენ „გარეჯს“, ეპოტინებიან აჭარას, აფხაზეთსა და ოსეთს... მე, ჯემალ კეჭაყმაძე თავს უფლებას ვერ მივცემ, პომპეზურად შევხვდე ჩემი 80 წლის გასრულებას და ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდო ქვეყნისა და გურიის საზოგადოება, რაც, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მილოცვებს არ ვლებულობ, ჩემი ოჯახის კარი ისედაც ყოველთვის ღიაა სტუმრისთვის.“ – წერს გაზეთ „ალიონისადმი“ გამოგზავნილ ბარათში იუბილარი.

გაზეთი „ალიონი“

ოთხმოცი წლის მერე

ო, რა უცებ გაპარულა წლები,
ველარ ვარჩევ ნაირ-ნაირ ფერებს,
სიცოცხლესაც ეკარგება ფასი,
რაღად მინდა ოთხმოცი წლის მერე?
კაცმა რომ თქვას, გული ისევ
ტოკავს,
მოგონებებს ისევ მოვეფერე,
გამხნევება კი ვიგრძენი, მაგრამ
რაღად მინდა ოთხმოცი წლის
მერე?

ეს ცხოვრება, რაც მეწერა დღემდე,
ერთი სუნთქვით უცებ დავამღერე,
სიჭაბუკე სიჭაბუკედ დარჩა,
მე რად მინდა ოთხმოცი წლის
მერე?

სურვილები ისევ ღვივის გულში,
რომ ერთხელაც გადავევლო
ველებს
და სამშობლოს შევახსენო თავი,
თუ შევძელი ოთხოცი წლის მერე.

დღეიდან თუ სიკეთე ვერ ვთესე,
ჩემს ქვეყანას ველარ მოვეფერე,
მაშინ თხოვნა შემისრულე,
ღმერთო,
ნუ მაცოცხლებ ოთხმოცი წლის
მერე.

ჯემალ კეჭაყმაძე.

ვაჟა-ფშაველა და გურია

წლეულს 2020 წლის 20 ოქტომბერს 115 წელი სრულდება ცნობილი ნასაკირალის ბრძოლიდან

ოზურგეთში მეფის დამსჯელი რაზმის -ალიხანოვის შემოსვლამ და მისმა ქმედებებმა საპროტესტო მოქმედება გამოიწვია მთელი ქვეყნის მაშტაბით.საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები და კრებები.ხალხი დაჟინებით მოითხოვდა ჯარის გაყვანას გურიიდან. ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა შეცნობილი თუ რა განსაცდელის წინაშე იდგა გურია. რევოლუციური გურიის გადასარჩენად სასწრაფოდ შეიკრიბა საქართველოს საუკეთესო შვილები. კრებამ, რომელიც ამ საკითხს მიეძღვნა. ილია ჭავჭავაძის წინადადებით აირჩია წარმომადგენლები,რომლებიც სასწრაფოდ უნდა წარსდგომოდნენ მეფის ნაცვალს და მტკიცედ მოეთხოვათ ალიხანოვის უკან გაწვევა.ამ კანონიერი მოთხოვნის შეუწყნარებლობის შემთხვევაში „ჩვენ ყველამ უნდა ავდგეთ ავისხათ იარაღი და გურულებთან ერთად უნდა გავწყდეთ და ჩვენი ძვლებიც იმათთან ერთად უნდა ჩავყაროთო დასძენდა დიდი ილია“. (იური სიხარულიძე „რევოლუციური გურიის დიდი ქომაგი“)

აჯანყებული გურიის დამცველი გახლდათ გულანთებული ვაჟა-ფშაველა, რომელსაც გადმოცემით აჯანყებული გურიის დასახმარებლად 200 შეიარღებული ხევსურის ჩამოყვანა ჰქონდა განზრახული.ამის შესახებ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ნაკაშიძის მოგონებებიდან ვგებულობთ:

-„ბატონო ვაჟა-ვუთხარი მე, რომ 1905 წლის ნასაკირალის შეტაკების შემდეგ თქვენ გდომიათ გურ-იაში დამსჯელი რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ორასი შეიარაღებული ხევსურის ჩამოყვანა.

–ჰო, და მერე რა-თქვა მან –მე და ჩემმა ღმერთმა ჩამოვიდოდით კიდეც და ვიბრძოლებდით კიდეც მაშინ ილია ჭავჭავაძეც აპირებდა წამოსვლას იმან შეგვაგულიანა.

მერე და მართლაც, რომ ჩამოსულიყავით, როგორ გაუძლებდით დამსჯელი რაზმის ზარბაზნებს,უთოდ დაგხოცავდნენ.

–მე და ჩემმა ღმერთმა,სჯობდა იქ მოეკლა ალიხანოვის დამსჯელი რაზმის ზარბაზნებს სამშობლოს დაკარგვისათვის შეიარაღებული მებრძოლი ილია ,ვიდრე ის „ მოკვდა“, წიწამურში ავაზაკების ტყვიით“.(ნინო ნაკაშიძე : „მოგონებები ილია ჭავჭავაძის გარშემო“ ,ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდები საქმე 536).

როგორც ნინო ნაკაშიძე იგონებს, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვაჟა-ფშაველასთან ,ვაჟა ფშაველა მასთან დადიოდა, როგორც „ნაკადულულის“ რედაქციაში, ისე მის ოჯახშიც.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი.

P.S. მხატვარი ანტონ გოგიაშვილი მოწმე იყო გურიის საყოველთაო გაფიცხვისა და ნასაკირალთან ბრძოლებისა. კაზაკების მიერ ნასაკირალის მახლობლად მდებარე სოფლების აწიოკებისა და გადაწვისა. მისი ნახატი ტყეში გახიზნული გურულები (1905წ) ასახავს უზარმაზარი მუხის ქვეშ თავშეფარებული გლეხების ოჯახებს. სპეციალისტების აზრით აქ რაიმე საგმირო ეპიზოდი კი არ აირჩია მხატვარმა, არამედ გამოხატა ნაღვლიანი განწყობილებით გამსჭვალული სცენა.

სურათი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ჯემალ ჭკუასელი 85 წლისაა!

იუბილეს ვულოცავთ საამაყო მამულიშვილს, ქართული კულტურის ერთ-ერთ საუკეთესო დესპანს მთელ მსოფლიოში, ბატონ **ჯემალ ჭკუასელს,** ვუსურვებთ მხნეობას, დღეგრძელობას, კვლავაც წარმატებებს ქართული სალური სიმღერებისა და ცეკვების ეროვნულ საგანძურად შენარჩუნებისა და განვითარებისთვის.

– მოხდენილი ინტერიერი, 70-კაციანი კეთილმოწყობილი დარბაზი, ხალისიანი ეზო, ორი ფაცხა;

– ქართული სანელებლებით შეკმაზული ეროვნული წვნიანი და მშრალი კერძების ფართო ასორტიმენტი, სამეფო, იმერული, გურული და აჭარული ხაჭაპურები... კი, სხვაგანაც გემრიელია, მაგრამ ცაცას ნახელავი მაინც სულ სხვაა!!!

– ნატურალური მატონიზებელი და ალკოჰოლიანი სასმელები, მუსიკა პირდაპირ ინტერნეტიდან.

და ეს ყველაფერი სად? – სოფელთა სოფელ შემოქმედის ცენტრში, რესტორან ჩაქუხაში“.

„ჩაქუხა“!!!

რესტორანი, სადაც სუფრას შემოქმედურად, ანუ შემოქმედებითად უდგებიან.!!!

ტელ: 574 22 31 62

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბელი +11+21	მზე, +12+22	მზე, +14+25	მზე, +16+28	ღრუბელი +16+25	მზე, +15+25	მზე, +14+24
5 ოქტომბერი ორშაბათი	6 ოქტომბერი სამშაბათი	7 ოქტომბერი ოთხშაბათი	8 ოქტომბერი ხუთშაბათი	9 ოქტომბერი პარასკევი	10 ოქტომბერი შაბათი	11 ოქტომბერი კვირა